პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) აცხადებს კონკურსს ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების და შესყიდვების სპეციფიკაციების სპეციალისტის შერჩევის მიზნით

კონკურსი ცხადდება **2017 წლის 06 იანვარს** და განცხადებების წარდგენის **ბოლო ვადაა 2017 წლის 12 იანვარი.**

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოს ვაკანსიის დასახელება **„ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების და შესყიდვების სპეციფიკაციების სპეციალისტი“,** წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება განაცხადის განხილვა.

ადგილების რაოდენობა **- 1**;

ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების და შესყიდვების სპეციფიკაციების სპეციალისტის თანამდებობის მიმართ დადგინილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) ძირითადი მოთხოვნები:

ა.ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

ა.ბ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel, Ms. Power Point, Outlook) ცოდნა და ეფექტური პრეზენტაციის უნარები თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით;

ა.გ) ქართული ენის სრულყოფილად ფლობა -(საუბარი, კითხვა, წერა);

ბ) დამატებითი მოთხოვნები:

ბ.ა) პროფესიული განათლების საკითხებთან დაკავშირებული პროგრამების/ პროექტების მართვის და/ან მათში მუშაობის გამოცდილება;

ბ.ბ) სასაურველია კანდიდატი იცნობდეს პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებს.

ბ.გ) სამუშაოზე დაფუძნებული პროფესიული განათლების სპეციფიკის ცოდნა

ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების და შესყიდვების სპეციფიკაციების სპეციალისტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების და შესყიდვების სპეციფიკაციების შემუშავების პროცესის ორგანიზება და მართვა;

ბ) პროექტის ფარგლებში დაკონტრაქტებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან თანამშრომლობა;

გ) დაინტერესებული მხარეებისათვის ტრენინგებისა და კონსულტაციების ჩატარების უზრუნველყოფა.

ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების და შესყიდვების სპეციფიკაციების სპეციალისტის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდება **შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით** წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვრება თვეში 1250 ლარის ოდენობით.

ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების და შესყიდვების სპეციფიკაციების სპეციალისტის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კანონი ,,პროფესიული განათლების შესახებ";
ბ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანება - პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის, ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ.

ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების და შესყიდვების სპეციფიკაციების სპეციალისტის კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი პერსონალური უნარები:
ა) ანალიტიკური და სისტემური აზროვნების;
ბ) ზეპირი და წერილობითი საქმიანი კომუნიკაციის წარმოების;
გ) შემჭიდროვებულ ვადებში მუშაობის;
დ) გუნდური მუშაობის, გუნდის შექმნის;
ე) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე info@eqe.ge აუცილებლად უნდა გამოგზავნოს:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:
ა) განცხადებების გადარჩევა;
ბ) გასაუბრება.